ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business

KONRAD
ADENAUER
STIFTUNG

რა უნდა ვიცოდეთ

საქონლის წარმოშობის შესახებ

ევროკავშირში მისი იმპორტისთვის

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

პალიტრა

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოში წარმოებული პროდუქტის ევროკავშირში ექსპორტის ხელშეწყობა. შეთანხმება ხელს უწყობს ექსპორტს, მასზე ტარიფების გაუქმების გზით. იმისათვის, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქტის ევროკავშირში ექსპორტი ტარიფების გარეშე განხორციელდეს, მან უნდა დააკმაყოფილოს ევროკავშირის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმები საქონლის წარმოშობის თაობაზე. საქონლის წარმოშობის კრიტერიუმების დაკმაყოფილება ევროპაში ექსპორტის ძირითად პირობადაც კი შეიძლება იყოს მიჩნეული.

საქონლის წარმოშობა

საქონლის „წარმოშობა“ არის საქონლის „ეკონომიკური“ ეროვნება საერთაშორისო ვაჭრობის დროს, რაც დასტურდება წარმოშობის სერტიფიკატით.

საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი შეიძლება იყოს პრეფერენციული და არაპრეფერენციული:

არაპრეფერენციული წარმოშობა – საქონელს ანიჭებს „ეკონომიკურ“ ეროვნებას და არ იძლევა რაიმე სახის სატარიფო უპირატესობას. არაპრეფერენციული წარმოშობა გამოიყენება სტატისტიკის მიზნებისთვის ან წარმოშობის განსაზღვრისთვის „წარმოშობის მარკირების“ კანონმდებლობის კონტექსტში (ანუ ეტიკეტისთვის “Made in” – „დამზადებულია“). ასევე, ის შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი სავაჭრო ზომების განხორციელებისათვის, როგორიცაა ანტიდემპინგური ზომები, რაოდენობრივი შეზღუდვები თუ სატარიფო კვოტები.

პრეფერენციული წარმოშობა – ადგენს გარკვეულ სატარიფო უპირატესობებს, შემცირებულ ან ნულოვან განაკვეთს საქონლისათვის, რაც ვაჭრობის საგანს წარმოადგენს პრეფერენციული ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის. აქედან გამომდინარე, არაპრეფერენციული წარმოშობის წესებთან შედარებით, პრეფერენციული წარმოშობის წესები უფრო მკაცრია.

კიდევ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოში შესაძლებელია, წარმოებულ იქნას საქონელი, როგორც პრეფერენციული, ისე არაპრეფერენციული წარმოშობით. საქართველოში წარმოებული საქონელი ჩაითვლება პრეფერენციული წარმოშობის მქონედ, თუ ევროკავშირში ექსპორტირებისას იგი დააკმაყოფილებს საქონლისათვის ქართული წარმოშობის სტატუსის მისანიჭებლად ასოცირების შეთანხმების პირველი ოქმით გათვალისწინებულ პირობებს.

ოქმი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.dcfta.gov.ge ან მასზე კონსულტაციის მიღება შეგიძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინიტროს შემოსავლების სამსახურში.

ნებისმიერი ბიზნეს-ოპერატორი, რომელიც გადაწყვეტს პროდუქტის ევროკავშირში ექსპორტს, პირველ ეტაპზე უნდა გაეცნოს აღნიშნული ოქმის მოთხოვნებს და მხოლოდ ამის შემდეგ დაგეგმოს ექსპორტის პროცედურები.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას გაიცემა 4 სახის წარმოშობის სერტიფიკატი:

საქონლის შეღავათების გარეშე (არაპრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატი;

საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატი – ფორმა «A»;

პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი – CT-1;

პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი – EUR.1.

EUR.1 პრეფერენციული სერტიფიკატი გაიცემა იმ პროდუქტზე, რომლის ექსპორტი ხდება საქართველოდან ევროკავშირში, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრ ქვეყნებში (შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტეინი) ან თურქეთში.

საქართველოში EUR.1 სერტიფიკატი გაიცემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ.

პროდუქტის საკმარისი დამუშავება წარმოშობის სერტიფიკატის მისაღებად

ევროკავშირში ექსპორტირებისას პროდუქციისთვის ქართული წარმოშობის სტატუსის მისანიჭებლად საჭირო დამუშავება-გადამუშავების პროცესების ჩამონათ-

ვალი მოცემულია ასოცირების შეთანხმების პირველ ოქმში (იხილეთ ბმული: http://www.dcfta.gov.ge/ge/agreement).

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული შეღავათების მიღებისათვის არასაკმარის დამუშავება-გადამუშავებად ითვლება საბოლოო პროდუქტის მიღებისათვის განხორციელებული შემდეგი საქმიანობა:

- კონსერვირების ოპერაციები, ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს პროდუქციის ვარგისიანობის ძენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით;
- ფუთების დაშლა და აწყობა;
- რეცხვა, წმენდა; მტვრის, მჟავის, ზეთის, საღებავის ან სხვა სახის საფარების მოცილება;
- ქსოვილის დაუთოება ან დაპრესვა;
- ღებვისა და გაპრიალების მარტივი ოპერაციები;
- მარცვლეულისა და ბრინჯის გადარჩევა, ნაწილობრივი ან სრული გაუფერულება, გაპრიალება და მომინანქრება (შოკოლადით დაფარვა);
- შაქრის ღებვის ან შაქრის ნატეხის დამზადების ოპერაციები;
- ხილის, თხილის და ბოსტნეულის თლა, კურკის გამოცლა და ნაჭუჭის მოცილება;
- თლა, მარტივი ფქვა ან მარტივი ჭრა;
- ცრა, გაცხრილვა, გადარჩევა, კლასიფიცირება, დაჯგუფება, მისადაგება (ნაკეთობათა კომპლექტების შედგენის ჩათვლით);
- მარტივი მოთავსება ბოთლებში, თუნუქის ქილებში, კოლბებში, ჩანთებში, ჩემოდნებში, ყუთებში, დამაგრება ბარათებზე ან დაფებზე და შეფუთვის სხვა მარტივი ოპერაციები;
- შტამპების, იარლიყების, ლოგოების და სხვა განმასხვავებელი ნიშ-

ნების მიმაგრება ან ბეჭდვა პროდუქციაზე ან მათ შეფუთვაზე;

- პროდუქციის მარტივი შერევა, შერეული პროდუქტების არაერთგვაროვნების მიუხედავად;
- შაქრის შერევა ნებისმიერ მასალასთან;
- სრული ნაკეთობის შემადგენელი ნაწილებისგან აწყობა ან პროდუქციის დაშლა ნაწილებად;
- ცხოველების დაკვლა და სხვა.

წარმოშობის სერტიფიკატი ძალაშია გაცემის დღიდან ოთხი თვის განმავლობაში და ამ პერიოდში უნდა წარედგინოს იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებას.

შეჯამებისათვის უნდა ითქვას, რომ გასათვალისწინებელია განსხვავება ტერმინებს – „დამზადებულია საქართველოში“ და „წარმოშობილია საქართველოში“ – შორის. საქართველოში წარმოებულ საქონელს შეიძლება, არ ჰქონდეს საქართველოში წარმოშობილის სტატუსი.

პროექტს ახორციელებს კონრად ადენაუერის ფონდი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან და ასოციაცია ათინათთან თანამშრომლობით.

The project is implemented by the Konrad-Adenauer-Stiftung e.V., Economic Policy Research Center (EPRC) and Association Atinati.

„წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) და არა კონრად ადენაუერის ფონდი საქართველოში ან მისი პარტნიორი ორგანიზაციები, პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია“.

“This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of the Economic Policy Research Center (EPRC) and not the Konrad Adenauer Stiftung or its partners and can in no way be taken to reflect the views of the European Union”.

რა უნდა ვიცოდეთ **საქონლის წარმოშობის შესახებ** ევროკავშირში მისი იმპორტისათვის

სამოქალაქო საზოგადოება –
მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის
მხარდასაჭერად

DCFTA მცირე და საშუალო ბიზნესისთვის / DCFTA for SMEs

მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა 85
ტელ: 032 220 73 05
ელ. ფოსტა: iguruli@eprc.ge